

18/02/2025



MES 7 25 0000214774

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 04. 02. 2025

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:18 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (I, II, III, IV, VI)

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (V)

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს “კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
15. **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ნათია წიკლაშვილი - ფაკულტეტის დეკანი - პროფესორი;
- ასიე ცინცაძე - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი - პროფესორი.
- ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- რეზო მანველიძე - პროფესორი;
- გიორგი აბუსელიძე - პროფესორი
- ბადრი გეჩაია - პროფესორი
- ვაჟა ვერულიძე - პროფესორი
- ია მესხიძე - ასოც. პროფესორი
- რამინ ცინარიძე - ასოც. პროფესორი
- ირაკლი მანველიძე - პროფესორი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

- ლევან ქისტაური - ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო დამენია - ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
- პაატა ტურავა - საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ზაია ჯავარიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

- მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი;
- ქეთევან ბაკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი;
- ზურაბ ბერია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მიხეილ ტეფნაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია ინასარიძე - ლექტორი;
- ზაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი;
- ქეთევან ბაკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

- ეკატერინე ბაკრაძე - პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი გვანცა დავითაშვილი - პროფესორი, ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო - სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ვახტანგ ზაალიშვილი - პროფესორი, იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი;
- თამარ რაზმაძე - ასისტენტი, ხარისხის კულტურის კომიტეტის მენეჯერი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- დავით მახვილაძე - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ხათუნა მხეიძე - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
- თალიკო ჟვანია - სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი.
- თინათინ კაიშაური - სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- მზია კიკნაძე და ზურაბ ბოსიკაშვილი - „კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- თამარ ცაგარელი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო მატარაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- ნინო ჟვანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მაკა ლაშხია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- თამარ გეთიაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ეკატერინე ზაქარაძე (I საკითხი);

- ეკა ლეკაშვილი (I საკითხი);
- ნათია ნოლაიდელი (I საკითხი);
- ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
- ბექა ბენდელიანი (I საკითხი);
- ეკატერინე ნაცვლიშვილი (II საკითხი);
- სანდრო ტაბატაძე (II საკითხი);
- ნინო ფარსადანიშვილი (II საკითხი);
- მარიამ ბურმისტროვა (II საკითხი);
- ეკატერინე ფიფია (III საკითხი);
- იოსები ლაზარიშვილი (III საკითხი);
- ქეთევან აფთარაშვილი (III საკითხი);
- ირმა ქურდაძე (III საკითხი);
- ნინო პოპიაშვილი (III საკითხი);
- ირაკლი გორგილაძე (IV საკითხი);
- მაქსიმ იავიჩი (V საკითხი);
- თამთა თურმანიძე (VI საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და დღის წესრიგით გათვლისწინებულ პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - **თამარ ლომინაძემ**, ხოლო მეხუთე საკითხს სხდომის თავმჯდომარემ - **გოჩა თუთბერიძემ**.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ფინანსების" საბაკალავრო, "ფინანსები და საბანკო საქმის" სამაგისტრო, "მარკეტინგის" სამაგისტრო, "აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები), ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ფინანსების" საბაკალავრო, "ფინანსები და საბანკო საქმის" სამაგისტრო, "მარკეტინგის" სამაგისტრო, "აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები), ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ფინანსების" საბაკალავრო, "ფინანსები და საბანკო საქმის" სამაგისტრო, "მარკეტინგის" სამაგისტრო, "აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრის" სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა №2

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №3

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

პროგრამა №4

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180;

პროგრამა №5

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფინანსები და საბანკო საქმე;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №6

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მარკეტინგი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №7

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრა;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღრიცხვისა და დაბეგვრის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 120;

პროგრამა №8

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 180;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu), პირველ რიგში, გამოხატა მადლიერება აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიმართ ვინაიდან, მიეცა შესაძლებლობა გაეცნო მათთვის მიგნებები პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, შეფასების ფარგლებში „კონსეარჟში“ დაჯგუფებული ყველა პროგრამა შეფასდა, რომელიც მოიცავდა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. არსებული სამართლებრივი ჩარჩოს სტანდარტების გათვალისწინებით უნივერსიტეტი თავისი დიდაქტიკური საქმიანობით, პედაგოგიური და ინტერნაციონალიზმის მიმართულებით არის ძალიან მაღალ დონეზე, რომელსაც ჰყავს მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული პერსონალი, ძლიერი მენეჯმენტი და აქვს ძალიან კარგი პოტენციალი იმისა, რომ რეგიონულ დონეზე გაზარდოს სფეროს პროფესიონალები. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თითოეული პროგრამა იმსახურებს მაღალ შეფასებას. საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ კარგი მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობისგან და დადებითი უკუკავშირი მოდის სხვადასხვა

დაინტერესებული მხარეებისგან. მაგალითად, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისგან, რომლებიც ხაზს უსვამენ იმას, რომ ნამდვილად არსებობს კონკრეტულ სფეროში უნივერსიტეტის მიერ აღზრდილ კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა. უნივერსიტეტს საერთაშორისო დონეზე აქვს აღიარება თავისი პუბლიკაციების თუ გამოცემების დამსახურებით და ნამდვილად მზადაა, რომ გაზარდოს სპეციალისტები როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა ქვეყნებისთვის. საერთაშორისო ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ევროპის სხვა ქვეყნებთანაც. დაწესებულება გამოირჩევა კარგი ინფრასტრუქტურით. პროგრამები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვლადიმერ ლლონტი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 21 იანვრიდან უნივერსიტეტს ჰყავს ახალი რექტორი, ტიტე არემიძე, რომლის სახელითაც მან საბჭოს წევრებს დაუდასტურა პატივისცემა და გადაუხადა მადლობა თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, რადგან აკრედიტაციის საბჭოს თითოეული წევრი მუდამ მხარს უჭერს ამ უნივერსიტეტის განვითარების. ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, მის თავმჯდომარეს და ჯგუფის თითოეულ წევრს გაწეული სამუშაოსთვის. მათ მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო რესურსების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა ვიზიტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ კლასტერში დაჯგუფებული ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი. ისინი შემუშავებულია არსებულ სტანდარტებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს ამ მიმართულებით არსებულ უცხოურ გამოცდილებას. ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, რეკომენდაციებსა და რჩევებს ყურადღებით გაეცნო და ხაზი გაუსვა, რომ ისინი ძალიან კონკრეტული და მიღწევადია, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფასა და სრულფასოვან განხორციელებას. მან ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის პროცესში უნივერსიტეტის წარმატებული პრაქტიკის დასკვნაში აღნიშვნისთვის. ექსპერტების მიერ გაიცა 5 რეკომენდაცია, კერძოდ, 4 კლასტერული და 1 კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის. 3.1 რეკომენდაციის მიხედვით უმაღლესმა სასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაზე, თუმცა კლასტერში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ უნარებს. პრაქტიკული უნარის გამომუშავების მიზნით სილაბუსში გათვალისწინებულია ჯგუფში მუშაობა სხვადასხვა აქტივობების შესრულებით. სტუდენტების კვლევითი უნარების განმტკიცება ხდება უნივერსიტეტში არსებული მიზნობრივი სამეცნიერო კვლევით პროექტებში პროფესორის მიერ სტუდენტთა ჩართულობის მოთხოვნით. ეს არის ვალდებულება პროექტის განხორციელებისა. ასევე, სტუდენტებს მომზადებული დამოუკიდებელი კვლევითი პროექტების დაფინანსების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკული უნარები წარმოადგინონ და განავითარონ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა როგორც BSU-ში, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პრაქტიკული უნარების გამოყენება და მისი შეფასება ხდება ყველა სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო (პროფესიული) პრაქტიკის ფარგლებში. თითოეულ სასწავლო კურსზე, კერძოდ, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ორჯერ მეტი საკონტაქტო საათია გათვალისწინებული, ვიდრე თეორიულ კომპონენტზე. ეს უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამების განხორციელებისას ყურადღება მთლიანად მიმართული არის პრაქტიკული სწავლების მონიტორინგსა და განვითარებაზე,

დაწესებულება ფიქრობს, რომ ეს არ არის მაქსიმუმი და აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი ეთანხმება ამ რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტებისთვის პრაქტიკულ სწავლებას. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ითვალისწინებს. მისი თქმით, 4.2 რეკომენდაცია არის უკვე საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია. ის ეხება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც ექსპერტების მიერ ყურადღება არის გამახვილებული იმაზე, რომ სადოქტორო დისერტაციის თემის განსაზღვრა უნდა მოხდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესების ადეკვატურ გამოყენებას იმ ნორმატიული აქტების შესაბამისად, რაც უნივერსიტეტს აქვს დადგენილი. ამ რეკომენდაციასაც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს უნივერსიტეტი. ვლადიმერ ლლონტმა აღნიშნა, რომ ეს არის პროცესის შემადგენელი ნაწილი და ბუნებრივია, რომ მათი ძალისხმევა მიმართულია იდენტიფიცირებული საკითხებისკენ. მან მიუთითა, რომ განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო-დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს ვალდებულება ჰქონდა, რომ პირველ იანვრამდე მოეყვანა არსებული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში. ამ მიზნით გადამუშავდა BSU-ს დოქტორანტურის დებულება, საგანმანათლებლო პროგრამები და სადისერტაციო საბჭოს დებულება. ეს დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის, რადგან დაწესებულებამ პირველ მაისს წარმოადგინა. წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ, ვიზიტის დროს (ოქტომბრის თვეში) ეს ბრძანება ახალი გამოცემული იყო. ყოველივე ამის შემდეგ უნივერსიტეტმა ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრული გარემოებები გაითვალისწინა. ამ ჩარჩო-დოკუმენტში ის ფაქტორებია სხვაგვარად წარმოდგენილი, რაზეც ახლა აპელირებენ ექსპერტები. ამ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ითვალისწინებს. დაწესებულებას გადადგმული აქვს კონკრეტული ნაბიჯები სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასთან, გაფორმებასთან, თემატიკის განსაზღვრასთან, ხელმძღვანელისა და შემფასებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ამრიგად, იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. 4.2 რეკომენდაცია ითვალისწინებს ტრენინგების ორგანიზებას, რომელიც არის დაკავშირებული სწავლების თანამედროვე მეთოდებთან. ვლადიმერ ლლონტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ძალიან საინტერესო საკითხი აქვთ იდენტიფიცირებული ექსპერტებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და დაწესებულებას სურს, რომ ამ მიმართულებით, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით სხვა დაწესებულებების მხარდაჭერას მიაქციოს ყურადღება. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილია ქვე პროგრამა, რომელსაც ჰქვია „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება“. ამ ქვეპროგრამის ასიგნება დაახლოებით 2,500,000 ლარია. დაწესებულება ყოველწლიურად მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული მხარდაჭერის მიზნით. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრენინგები, რომლებშიც უნივერსიტეტის მასშტაბით მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 200-მა აკადემიურმა პირმა. უნივერსიტეტს სულ ჰყავს 323 აკადემიური პირი, მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის აკადემიური პერსონალი. ეს ტრენინგები ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად მომზადებას, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების გაწერას ვალიდურად გაზომვადობის მიზნით. ასევე ლექცია ან სემინარის ინტერაქციულად გახდომას, საგრანტო განაცხადების წერას, სტრატეგიასა და ტექნიკას HR სტრატეგიასთან დაკავშირებით პერსონალის განვითარებას, ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას და ა.შ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა უნივერსიტეტმა და ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი აქტივობები განახორციელა, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება მომავალშიც. რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის საკითხებს და მის გამოყენებას სასწავლო პროცესში, ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლების ეფექტიანად გაზრდისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 11 აკადემიური პირი 2009

წლის 9-13 დეკემბერს მივლინებული იყო ქ. რიგის უნივერსიტეტში (ISMA) ტრენინგზე: "Enhancing Teaching Strategies, Managing Burnout, and Adapting AI in Education". დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს და მთელ ძალისხმევას მიმართავს პროფესიული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებისკენ. უნივერსიტეტი ითვალისწინებს იმ რეკომენდაციას, რომ სახელმძღვანელოებისა და რიდერების ელექტრონული ვერსიები განთავსდეს ბიბლიოთეკაში. ვლადიმერ ლლონტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში აქვს ვალდებულება, რომ პროგრამის მესვეურებმა შესაბამისი დოკუმენტის მეშვეობით დაადასტურონ, რომ ბიბლიოთეკაში არის დაცული ის წყაროები, რომლებიც სილაბუსში არის მითითებული ძირითად თუ დამხმარე ლიტერატურად. შესაბამისად, ყველა ის ლიტერატურა, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ელექტრონული ვერსიები განთავსებულია უნივერსიტეტის პორტალზე, თუმცა ამ რეკომენდაციასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტი და მზაობას გამოთქვამს მესამე წყაროს მოძიების შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ფაკულტეტი წიგნების დეფიციტს არ განიცდის და მასზე შეუფერხებლად აქვს წვდომა სტუდენტს. 5.1 რეკომენდაცია ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის გადამზადებას სწავლის შეფასების რუკების შედგენის ძირითად პრინციპებზე. ვლადიმერ ლლონტმა აღნიშნა, რომ ეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია, რადგან ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ქართულ სივრცეში არის დაგროვილი, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში, სწავლის შედეგების გაწერასთან ერთად იყო გაზიარებული კოლეგებისთვის. ამ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი ითვალისწინებს, რადგან ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას და თანადგომას საჭიროებს. ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები ღირებული და ორიენტირებულია იმ შედეგზე გასასვლელად, რომელსაც წარმატებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჰქვია. მან აღნიშნა, რომ ერთი წელი სავსებით ადეკვატური იყო რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული სადოქტორო პროგრამა დოქტორანტურის ახალ სტანდარტს. ასევე სადოქტორო პროგრამის სილაბუსები რამდენად პასუხობდა ამ საფეხურს. ექსპერტმა ევა ლეკაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტი მაშინ მოხდა, როცა ახალი დამტკიცებული იყო ბრძანება სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით. შესაბამისად, დაწესებულებას არც დრო ჰქონდა და არც რესურსი, რომ ახალ მოთხოვნებთან მიმართებით შეფასება მოეხდინა. ეს ყველაფერი გადამუშავდება და ინსტიტუცია ახლიდან წარმოადგენს ამ ნაწილში შეფასებას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ერთად შეისწავლეს პროგრამაში არსებული სილაბუსები, რომლებიც სადოქტორო პროგრამებთან შესაბამისი იყო. გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტის ბოლო ნაწილს ვერ გაიზიარებდა, რადგან მას მიაჩნდა, რომ მაგალითად, „გამოყენებითი სტატისტიკის“ სილაბუსში არსებული ლიტერატურა უტოლდებოდა საბაკალავრო საფეხურის ლიტერატურას. მისი თქმით, არ შეიძლება სადოქტორო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოებით ისწავლებოდეს სასწავლო კურსები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არცერთი სამეცნიერო სტატია მნიშვნელოვანი და აქტუალური არსად, არცერთ სასწავლო კურსთან მიმართებით არ არის მითითებული. ზედა საფეხურებზე საჭიროა სხვა დამატებითი ლიტერატურის გამოყენება. 4 - 5 მნიშვნელოვან სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც დღეს ბაკალავრიატის დონესაც აღარ შეესაბამება. შესაბამისად, ექსპერტებს ამაზე ყურადღება უნდა გაემახვილებინათ. გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ 2012 წელს არის 12 დისერტაცია დაცული, რომელთა შეფასება ფრიადია. მისი თქმით, სულ წარმოდგენილია 27 დისერტაცია. მიუხედავად იმისა, რომ თავად არ გაცნობია დისერტაციებს, ეჭვს ბადებს მათი შეფასების საკითხი. მას ექსპერტებისგან

აინტერესებდა, ტექნიკურ დარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი შეფასების ნაწილში. საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) აღნიშნა, რომ დოქტორანტებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ინტერვიუებში, ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიტიური უკუკავშირი წარმოადგინეს. შინაარსთან დაკავშირებით იყო გარკვეული საკითხები გამოსასწორებელი, თუმცა პროგრამა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტის პროგრამები შეესაბამება სტანდარტებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ უნივერსიტეტს წვდომა აქვს ისეთ ბაზებთან, რომელთა გამოყენებაც დოქტორანტებს შეუძლიათ საკუთარი დისერტაციებზე მუშაობის დროს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცესი არის მრავალეტაპიანი. შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის თანახმად, რომელიც სამეცნიერო ნაშრომის შეფასებას ეხება, განსაზღვრულია, რომ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება თვისობრივი შეფასებით. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტების შეფასების პრცესში ჩართულნი არიან, საერთაშორისო რეცენზიები, ოპონენტები და ასევე დისერტაციის დაცვა ხდება საჯაროდ. შეფასება ხორციელდება შესაბამისი კვალიფიციური პირების მიერ. მისი თქმით, უნივერსიტეტში სასწავლო კომპონენტი აგებულია ისე, რომ მოამზადონ დოქტორანტი აკადემიური საქმიანობისა და კარიერისთვის. შესაბამისად, უნივერსიტეტი დოქტორანტებს აძლევს კლასიფიკატორის შესაბამისად თანამედროვე, უახლეს მეთოდებზე ინფორმაციას სწავლების მეთოდებში, დარგსა და ქვედარგში. ასევე ტარდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც დოქტორანტს ეხმარება კვლევის განხორციელებაში. შესაბამისად, პროფესორი, რომელიც ახორციელებს ამ სასწავლო კურსს, დაიწყებს მარტივიდან და მივა იმ დონემდე, რომელიც იქნება გათვალისწინებული იმისათვის, რომ გავიდეს იმ შედეგებზე, რა შედეგებიც არის კონკრეტულად სადოქტორო დონისთვის გათვალისწინებული. მან განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამები და სწავლებები დისერტაციების შერჩევისას არის უნივერსიტეტის მისიის და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტებთან შესაბამისი. დაწესებულება ჩარჩო მოთხოვნების დაკმაყოფილებას აუცილებლად შეძლებს. ის, რაც შეიცვალა ამ კონკრეტულ მიმართულებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია უნივერსიტეტის მიმდებლობას უსვამს ხაზს. კვალიფიკაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოქტორანტს მხოლოდ „Scopus“-ში, „Web of Science“-ში და მსგავს რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება არ მოეთხოვება. ეს ნაწილი დაწესებულების მხრიდან უფრო გამკაცრდა. უნივერსიტეტში მოქმედებს წახალისების წესი, რომლის მიხედვით წლის განმავლობაში უნივერსიტეტი 2500 ლარს აძლევს დოქტორანტს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით. ვლადიმერ ლლონტმა აღნიშნა, რომ თითო ხელმძღვანელს ორზე მეტი დოქტორანტი არ ეყოლება. ჩარჩოს მოთხოვნა კი არის 3. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული შეფარდება განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებით. თითოეული პროგრამა, რომელიც არის წარმოდგენილი ქმედუნარიანი, შედეგზე ორიენტირებული პროგრამაა და უნივერსიტეტი ნამდვილად ითვალისწინებს ყველა იმ მოთხოვნებს, რომლებიც არის ქართული კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებული. გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ დისერტაციის უმაღლესი შეფასებით შეფასება ხდება მაშინ, როდესაც სტუდენტს განსაკუთრებული მიღწევა აქვს. წარმოდგენილი 27 ნაშრომიდან ყველას შეფასება უმაღლესია. მოცემულ შემთხვევაში ან შეფასების სისტემაა დარღვეული, ან არ არის შესაბამისად გაანალიზებული თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ შეფასებას სადოქტორო ნაშრომისთვის. სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევები ახალ ცოდნას უნდა ქმნიდეს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება დარგის განვითარებისთვის. გოჩა თუთბერიძემ მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ამ მხრივ უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული ზომები. მან ყურადღება გაამახვილა ახალ სტანდარტზე პუბლიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები განხორციელებულია, უნივერსიტეტს მითითებული აქვს „ERIH PLUS“-ი, რომელშიც საქართველოს 5 ჟურნალი მაინც არის მითითებული, თუმცა ისინი საერთაშორისოდ ინდექსირებული არ არის. კარგი იქნება თუ ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევს დაწესებულება. გოჩა თუთბერიძემ ყურადღება გაამახვილა

სილაბუსებზე და აღნიშნა, რომ მასში განხილული ლიტერატურა და თემატიკა არ შეესაბამება დოქტორანტურის ხარისხს იმიტომ, რომ არცერთი სამეცნიერო სტატია არ არის მითითებული, რაც ყოვლად დაუშვებელია. ვლადიმერ ღლონტმა, განმარტა, რომ „ERIH PLUS“-ი სრულიად ამოღებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან. სადოქტორო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მიყვებოდა შეფასების იმ პროცედურას, რომელიც აქამდე არსებობდა და შედეგი მიიღო ის, რაც წარმოდგენილია. მან დაადასტურა, რომ ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით გადამუშავდა შეფასების პროცედურა და უნივერსიტეტი გადავიდა ქულობრივ შეფასებაზე, რომელიც ჩაშლილია კრიტერიუმებად. შესაბამისად, შეფასების პროცედურა დახვეწილია. საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოსთვის გასაგებია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის როლი უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ის დაეთანხმა გოჩა თუთბერიძის პოზიციას სადოქტორო ნაშრომების შეფასებებთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, უმჯობესი იქნება თუ ბაკალავრიატის დონეზე იქნება ფრედ და ფორესტ დევიდების კარგად აპრობირებული, თარგმნილი მასალა. მაგისტრატურაზე აუცილებელია გადაიხედოს სტრატეგიული მენეჯმენტის კურსი, რათა შეიცვალოს და შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საფეხურთან, როგორც შინაარსით, ისე ლიტერატურით. გიორგი ლაღანიძის თქმით, საჯარო მმართველობა არის 0413-ის ქვეშ (მენეჯმენტი და ადმინისტრირება). 0413-ის ქვეშ არსებობა ნიშნავს იმას, რომ მინიმალურ დონეზე უნდა იქნას მიწოდებული ყველა ის კურსი, რომელიც განაპირობებს 0413-ის შინაარსს. ვლადიმერ ღლონტმა სტრატეგიული მენეჯმენტის დონეებისა და საჯარო მმართველობის საკითხების მიმართ აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მათთან დაკავშირებული რეკომენდაციები. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად ლოგიკურად გამოიყურებოდა 4.1-ი ქვესტანდარტის რეკომენდაცია საუკეთესო პრაქტიკის ფონზე და რას გულისხმობდა ამ კონკრეტულ სიტუაციაში. ექსპერტმა ეკატერინე ზაქარაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაზე მუშაობისას ექსპერტების მიერ განხილული იყო ყველა დოკუმენტი სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე პანელური შეხვედრები და ამის შემდეგ მოხდა რეკომენდაციის გაცემა. მისი თქმით, რეკომენდაციაში საუბარია მაღალი შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ყველაფერს უნდა მიაქციოს ყურადღება, თემის განსაზღვრებიდან დაწყებული, დაცვის შეფასებით დასრულებული. მან ხაზი გაუსვა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია დაადასტურდა „CV“-ებით და შრომის ნუსხებით. ასევე უშუალოდ მათთან გასაუბრებით. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს 4.1 ქვესტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენად ლოგიკური იყო ამ რეკომენდაციის გაცემა დასკვნაში მოცემული საუკეთესო პრაქტიკის ფონზე. ექსპერტმა ეკატერინა ზაქარაძემ აღნიშნა, რომ ეს შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) განაცხადა, რომ ზოგადად კვლევის მიმართულების შეფასება არის რთული. როდესაც ექსპერტები განიხილავდნენ და აფასებდნენ ამ საკითხს, გამოიკვეთა ძალიან კარგი პრაქტიკები. ამასთან ერთად ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დოქტორანტების უკუკავშირი და გამოიკვეთა, რომ მათ კარგი ურთიერთობა და უწყვეტი წვდომა აქვთ ბაზებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ რეკომენდაცია გაცემულიყო, რადგან განვითარებას არ აქვს საზღვარი მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტთან არის შესაბამისობაში. პროგრამას კიდევ შეუძლია ამ მიმართულებით განვითარება. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, ექსპერტებს მიმართა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნაში ეს რჩევა შემდეგი ფორმულირებით იყო მოცემული: „სასურველია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხი“. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა ამ რჩევაში. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობის შეფასება არის დადებითი, თუმცა გარკვეული ნაკლოვანებები გამოიკვეთა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ლიტერატურის ნაწილში. შესაბამისად, სასურველი იქნება მცირე კვლევითი ასპექტების

სათანადოდ წარმოდგენა. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამების შემდგომი განვითარების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლის პროცესების სწორ შეფასებას და ამის საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებს. მან აღნიშნა, რომ გადასახედია კურიკულუმის რუკები როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო პროგრამებში, თუმცა განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებში სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. სწავლის შედეგები შემდეგი თანმიმდევრობით უნდა არსებობდეს: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. მას აინტერესებდა, სწავლის შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით რა იყო მინიმალური ზღვარი, რომლის გადაცდომის შემთხვევაშიც ხორციელდებოდა ის ცვლილებები, რომლებიც აღწერილი იყო მექანიზმში. ვლადიმერ ლლონტმა აღნიშნა, რომ ეს არის პროცესი, რომელიც საჭიროებს მუდმივ განვითარებას. მან ექსპერტებს მაღლობა გადაუხადა იმისთვის, რომ დაწესებულებამ განვითარების კონკრეტულ დონეს მიაღწია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი და დაწესებულება ცდილობს პროფესიული დინამიკა შეინარჩუნოს. ვლადიმერ ლლონტმა კონკრეტულ მაჩვენებელზე, რომლის იდენტიფიცირების შემდეგაც ცვლილებებია მოსალოდნელი, აღნიშნა, რომ ეს ყოველივე ექვემდებარებოდა დადგენილ წესს, რომელიც დაკავშირებული იყო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წაროდგენილ ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველ ანგარიშთან. ამ დროს ხდება მთელი ფაკულტეტის ჩართულობით იმ შედეგის შეფასება, რომელმაც პროგრამის მიღწევაში გავლენა იქონია. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს თვისობრივი ლოგიკური განვითარების შედეგის საფუძველზე განხორციელდეს თუ არა ცვლილება. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსად არის „პროექტის მართვა“, რომელიც სტუდენტისთვის შეთავაზებულია მესამე სემესტრში. დიმიტრი ჯაფარიძის აზრით, როდესაც სტუდენტს მესამე სემესტრში ჯერ კიდევ ბიზნესის კონცეფციები საბაზო დონეზე არ აქვს ათვისებული, ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო კურსის ჯეროვნად ათვისებას, რადგან ეს კურსი პრაქტიკულად არის იმ ძირითადი უნარების თავმოყრა, რაც განსხვავებულ ფუნქციონალურ სფეროებში გადმოიცემა. ვლადიმერ ლლონტმა აღნიშნა, რომ დიმიტრი ჯაფარიძის მოსაზრებას ეთანხმებოდა. მან დააზუსტა, რომ „პროექტების მართვა“ იყო არა არჩევითი, არამედ ძირითადი სასწავლო კურსი. შესაბამისად, ეს საკითხი აუცილებლად გადაიხედება როგორც წინაპირობის კუთხით, ისე სემესტრის გათვალისწინებით. დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნის დოკუმენტში იქ, სადაც ინფორმაციაა მოცემული კლასტერში შემავალი პროგრამების შესახებ, მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაში მითითებულია, რომ სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭება ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მარკეტინგში. მისი აზრით, ეს ალბათ ტექნიკური ხარვეზია. ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა დაადასტურა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:21

დასრულების დრო: 17:05

პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 4 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 4 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტი ეკატერინე ფიფია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს. მისი თქმით, „მეტწილად შესაბამისობაშია“ მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტი, ხოლო პირველი და მე-2 სტანდარტი „სრულ შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან. სამუშაო პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საბოლოოდ პროგრამის მიმართ გაიკა 9 რეკომენდაცია. რეკომენდებულია ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდის სწავლებისას ქართული ენის ფლობის ზოგადი აღწერების გათვალისწინება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და სხვა დოკუმენტაციას, თუმცა მათში არ არის გათვალისწინებული ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გამოყენების აუცილებლობა. ასევე, დაწესებულება მიუთითებს, რომ შესაბამისი სილაბუსებში გათვალისწინებულია წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის კომპონენტები როგორც ქართულის, ისე მეორე ენის სწავლების მიზნები და პრინციპები. ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ეთანხმება, რომ მოცემულ დოკუმენტებში არ არის ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მითითებული, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, როგორც აღინიშნა ეს დოკუმენტები არის ზოგადი და ნაკლებად ითვალისწინეს საგნობრივ კომპეტენციებს, თუმცა გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს დოკუმენტი მიღებულია ქართული ენის დონეების ზოგადი აღწერილობის სამართლებრივი დოკუმენტის მიღებამდე. მაგალითად, მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების სამართლებრივად რეგულირებამდე, 2018 წელს მიღებული იქნა დარგობრივი მახასიათებელი, ხოლო ქართული ენის ფლობის ზოგადი აღწერილობა 2020 წელს. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა-მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონე. შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მსგავსი რეკომენდაცია უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ. რეკომენდებულია, გადაიხედოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების, შეფასების კრიტერიუმები და დაშვების წინაპირობა კომპიუტერული უნარჩვევების შემოწმების ნაწილში დაიხვეწოს. დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია გაიზიარა. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა და დაინერგოს პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი. რეკომენდებულია შემუშავდეს დეტალური პრაქტიკის გზამკვლევი შემდეგი კომპონენტებით: ვადები და ეტაპები, პრაქტიკის ობიექტების შევსების წესი, პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები, პრაქტიკა და განაწილების პრინციპები, ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები. ასევე რეკომენდებულია პრაქტიკის

ობიექტებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულება-შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას. რეკომენდებულია ანტიპლაგიატის გამოყენება და პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ, როგორც ეს მათ არგუმენტირებულ დოკუმენტში ჩანს, ჩაატარა 2 საინფორმაციო შეხვედრა ანტიპლაგიატის პროგრამასთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია ეყრდნობა ინტერვიუების შედეგებს, სადაც როგორც პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, ისე კურსდამთავრებულებმა და მომიჯნავე პროგრამაზე ჩარიცხულმა პირებმა აღნიშნეს, რომ არ იყენებდნენ ანტიპლაგიატის პროგრამას. შესაბამისად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით ინტენსიურად გააგრძელოს მუშაობა. რეკომენდებულია საკონსულტაციო საათებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ოფიციალური სახე. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაიზიარა. რეკომენდებულია, რომ გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში, რომელიც პროფესიული ნიშნით არჩეულ სხვა აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად იქნება სამეცნიერო და კვლევით ღონისძიებაში ჩართული. ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალი პროგრამის ფარგლებში სულ 4 ადამიანია, მათგან შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს მხოლოდ 1 ადამიანს, 3 ასისტენტ-პროფესორი არჩეულია არა სამეცნიერო კვალიფიკაციის მიხედვით, არამედ პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ეს მოდის უნივერსიტეტის რეგულაციასთან შესაბამისობაში, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია პროფესიული ნიშნით არჩეული აკადემიური პერსონალის არსებობა პროგრამის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე. რეკომენდებულია, რომ აკადემიური პერსონალი ახორციელებდეს კვლევით საქმიანობას. მისი თქმით, პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამეცნიერო აქტივობის ანგარიშში მითითებულია, რომ 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებელი 99-ია, თუმცა აღნიშნული პუბლიკაციების დიდი ნაწილი არ იძებნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც თუ რამდენი ნაშრომი მოამზადა უშუალოდ უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა. უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ასამაღლებლად და აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად სასურველია, რომ მეტად გაძლიერდეს უნივერსიტეტში აფილირების პოლიტიკა აკადემიური პერსონალის კვლევითი მექანიზმების მხარდაჭერის გაძლიერების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო რეპუტაციის ამაღლებას და აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბაია ჯაფარიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა როდესაც მიიღო დასკვნის პროექტი, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის საფუძველზეც სამი რეკომენდაცია რჩევებში გადავიდა, მათ შორის, აპელირების წესთან დაკავშირებული რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება იმას, რომ უნდა დაზუსტდეს სწავლის დონეების მიხედვით შინაარსი, რადგან მათ 2022 წლის დოკუმენტი არ განუხილავთ და შესაბამისად არც არგუმენტირებულ პასუხში ყოფილა ამაზე საუბარი. იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული დოკუმენტის ინდენტიფიცირება მოხდა, დაწესებულება კიდევ ერთხელ შეისწავლის მას და მზაობას გამოთქვამს სილაბუსის აღნიშნულთან შესაბამისობაში მოყვანას. ზურაბ ბერიამ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებდა მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პროგრამაზე მიღების შეფასების კრიტერიუმსა და კომპიუტერულ უნარ-ჩვევების შემოწმების ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ნაწილმა გააჩინა ბევრი კითხვის ნიშანი, უნივერსიტეტს ამასთან დაკავშირებით აქვს დიდი გამოცდილება, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსმენელებს უჭირთ ტექნოლოგიებთან ურთიერთობა. უნივერსიტეტს ეს ნაწილი წარმოდგენილი აქვს მიღების

კრიტერიუმებში, თუმცა ამას უფრო დეტალურადაც წარმოადგენენ. პრაქტიკის გზამკვლევი კომპონენტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვადები და ეტაპები ყველა სილაბუსშია გაწერილი. ობიექტების შერჩევის წესი არ არის გაწერილი და ამას უნივერსიტეტი აუცილებლად გაითვალისწინებს. პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები სტანდარტულია, აუცილებელია იყოს სტატუსიან მასწავლებელი, თუმცა კონკრეტულ ხელმძღვანელს თვითონ სკოლა სთავაზობს დაწესებულებას, ამიტომ ამ ნაწილს გზამკვლევი ვერ გაწერენ. პრაქტიკანტთა განაწილების პრინციპებთან და პრაქტიკანტების განაწილების რაოდენობასთან დაკავშირებით, ზურაბ ბერიამ განმარტა, რომ პრაქტიკანტების რაოდენობა ყველა ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. გზამკვლევს უნივერსიტეტი აუცილებლად გააკეთებს, თუმცა არის საკითხები, რომლებიც მასში არ იქნება მოცემული. მაგალითად, პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის წესი. ზურაბ ბერიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის საათებსაც გაწერს უნივერსიტეტი ისე, რომ მეტად ოფიციალური სახე მიიღოს. ბაია ჯაფარიძემ პლაგიატთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში წლებია არსებობს პლაგიატის დეტექციის პროგრამა და ხორციელდება როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ისე სადოქტორო ნაშრომების შემოწმება. რეკომენდაცია იყო პორტფოლიოს შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემით, რომელიც უნივერსიტეტისთვის ბუნდოვანია, რადგან პორტფოლიო შედგება ჩატარებული გაკვეთილების გეგმებისგან, მათი რეფლექსიებისგან, პრაქტიკანტის შეფასებისა და რეკომენდაციებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ინდივიდუალური გამოცდილება. შესაბამისად, დაწესებულებისთვის ეს რეკომენდაცია ბუნდოვანია. ინფორმაციულობის ზრდასთან დაკავშირებით ბაია ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტში ყოველსემესტრულად ხდება როგორც ონლაინ, ისე ცოცხალ რეჟიმში სტუდენტების რეფორმირება. ვიზიტის შემდეგ მოხდა უნივერსიტეტის მხრიდან ამ საკითხთან მიმართებით რეაგირება მანამ, სანამ დასკვნის პროექტი იქნებოდა მიღებული. დაწესებულებაში მცირე რეორგანიზაცია მოხდა, რომლის დროსაც საუბარი იყო იმაზე თუ ვინ ჩაუდგებოდა სათავეში ინფორმირებულობის საკითხს. მან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, რომელიც არ კრძალავს იმას, რომ პროფესიული ნიშნით მოხდეს კვალიფიცირებული პერსონალის შერჩევა. ამდენად, ყურადღება ექცევა პროფესიულ გამოცდილებას, მითუმეტეს, რომ სწავლებისა და შეფასების პროცესის დაგეგმვაში ჩართული იყვნენ პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სტუდენტების კომპეტენციის განვითარებას სკოლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად შესაბამისობაში იყო წარმოდგენილი პროგრამა ახალ დარგობრივ სტანდარტთან, რომელიც დამტკიცდა 2024 წლის ნოემბერში. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა ახალ დარგობრივ სტანდარტს. უნივერსიტეტს შეეძლო არ გამოეტანა წინსწრებით ეს პროგრამა და დალოდებოდა კლასტერულ აკრედიტაციას, მაგრამ მათ მოვლენებს გაუსწრეს, რაც მიუთითებს მათ მზაობაზე. მინიმალური სტანდარტი გათვალისწინებულია. ჩაშლილია მოდულურად ყველა ის საკვანძო საკითხები, რაც დარგობრივ დოკუმენტშია გათვალისწინებული. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი დოკუმენტის მიხედვით PBL-ის ნაკლოვანება შეინიშნება პროგრამაში. ასევე პროგრამაში არ არის გამოკვეთილი კეთებით სწავლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობის მიზნით დაწესებულებამ კიდევ უნდა იმუშაოს. მისი თქმით, სასკოლო პრაქტიკა დარგობრივ კომპონენტთან შეფარდებით უნდა მოიაზრებდეს 10 კრედიტს. მას აინტერესებდა, რამდენ საათს ხარჯავს თითოეული სტუდენტი სასკოლო პრაქტიკაზე, რომლის შედეგად გამოდის 10 კრედიტი. დიანა მჭედლიშვილი შეეხო სწავლების შედეგების რუკებს და აღნიშნა, რომ დოკუმენტში მოყვანილია 6 სასწავლო კურსი. აქედან 4 კურსი ძირითადად გადის გაცნობის დონეზე, საგნის გაცნობის მეთოდოლოგია ჩაშენებული პრაქტიკით ზოგადად არის გამოყოფილი. თითოეულ შედეგთან მიმართებით 2-3 არის

მითითებული (გაღრმავება, გამტკიცება). მას აინტერესებდა, ეს გაღრმავებაზე გადიოდა თუ განმტკიცებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია მასწავლებლის მომზადების პროგრამა განხორციელდეს როგორც „მანორ“ პროგრამა. ირმა ქურდაძემ პრაქტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს განსხვავებული მიდგომა. მათ ცალკე პრაქტიკა არ აქვთ. პრაქტიკა ინტეგრირებულია მეთოდისგან და სასწავლო კურსებში. საათებიც ჩაშლილია, რომლის შესახებ განმარტება ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა. ინტერვიუების დროს მოხდა კრედიტების რაოდენობის გადამოწმება და დადასტურდა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს 10 კრედიტი და შეიძლება უფრო მეტიც ზოგიერთ კურსზე. ექსპერტმა ქეთევან აფთარაშვილმა პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზუსტად დარგობრივი სტანდარტი ითვალისწინებს იმას, რომ შესაბამის საგანში პრაქტიკის ხელმძღვანელი უნდა იყოს სამწლიანი პედაგოგიური გამოცდილების. შესაბამისად, ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია. ზურაბ ბერიამ აღნიშნა, რომ სასწავლო პრაქტიკა ნამდვილად არის 10 კრედიტიანი, რომლის ნახვაც სილაბუსებშია შესაძლებელი. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს პროგრამა უნივერსიტეტში მერვე წელია ფუნქციონირებს. პრაქტიკა თავიდან ცალკე საგანი იყო, რომელიც მოიაზრებდა 10 კრედიტიან სასკოლო პრაქტიკას. 10 კრედიტიან იყო საგნობრივი მეთოდისგან, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ უკეთესი იქნებოდა მისი საგნობრივ მეთოდისგან ჩაშენება. დიანა მჭედლიშვილმა მათემატიკის პრაქტიკის სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო პრაქტიკაზე 35 საათია მითითებული. მას აინტერესებდა, რამდენ ასეთ კურსს გადიოდა სტუდენტი, სადაც 35 საათი იყო გათვალისწინებული. ზურაბ ბერიას თქმით, ეს არის პირველი-მეოთხე კომბინირებული მასწავლებლის მეთოდისგან ნაწილი. აღნიშნულ საგანში სტუდენტები გადიან სამ მეთოდისგან სილაბუსს: მათემატიკის, ქართულისა და ბუნებისმეტყველების, სადაც ჯამურად 10 კრედიტია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პროგრამის შედეგსა და მიზნებში გამოკვეთილად არ აისახება. მაგალითად, სასწავლო ტექნიკებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ნაწილში თუ ამ შედეგებს მიეხება სილაბუსის შედეგი, რომელიც კურსთა ერთობლიობას განაპირობებს, იქ ცალსახად დაფიქსირებული იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსწავლეები განიხილავენ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მაგალითად, პოლიტიკის მიზანს, ზოგადი განათლების სისტემის სტრუქტურისა და პოლიტიკის შესახებ. შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლებათა შეფასება საფუძველს უყრის თანამედროვე სწავლების მიდგომების შესახებ წარმოდგენებს და ეს კონკრეტულად საგნობრივ სილაბუსებში. იქიდან გამომდინარე, რომ მესამე სასწავლო გეგმაში კარგად გამოიკვეთა, რომ თითოეულ საგანს აქვს საკუთარი სწავლების კულტურა, მნიშვნელოვანია ეს კულტურა იყოს დაცული და გაღრმავებული სტუდენტებში. 2-3 ნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის ძირითადად სწავლებისა და შეფასების კურსს ეხება ყველაზე მეტად. თითოეული შეხვედრა არის კვირაში ორჯერ და 3 საათიანია. ამ პერიოდის განმავლობაში ზრდასრულთა განათლების პრინციპების გამოყენებით გადიან სტუდენტები ტრენინგის ფორმატში მუშაობას. სასწავლო კურსი ისე უნდა იყოს აგებული, რომ თითოეულ სტუდენტს მისცეს ცოდნა ეროვნული სასწავლებისა და შეფასების პრინციპებზე როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მიმართულებით. თუ საკონსულტაციო საათები ცალკე არ არის გამოყოფილი, ეს იმით არის განპირობებული, რომ განმავითარებელი შეფასება უშუალოდ ეხებოდა ჯგუფური და ინდივიდუალური ან წყვილში მუშაობის შემდეგ მათ მიერ წარმოდგენილ კონკრეტული დავალების ნაწილს. ეს განხილვის საგანი იყო უშუალოდ სალექციო პერიოდში, რადგან ლოგიკურადაა საათები გადანაწილებული ამ თემისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი პროგრამა ორიენტირებულია პრობლემაზე სწავლებისა და სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებით. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ მათი პროგრამა და სილაბუსი სრულად შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან და რაც ყველაზე მთავარია დარგობრივში შესული თითოეული ცვლილება, მაგალითად, სოციალური სქესის შინაარსი, რომელიც ხაზგასმით აისახა 2024 წლის დარგობრივში, ამის შესაბამისად შეიქმნა ისეთი კურსი

როგორცაა „პოლიტიკის“ სასწავლო კურსი. ასევე განსხვავებულად ჩამოყალიბდა სწავლებისა და შეფასების მიმართულება. ზურაბ ბერიამ აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა არის დამოუკიდებელი. ის არ არის საბაკალავრო პროგრამებთან ინტეგრირებული და ჩამოილი. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, გარკვეულ სასწავლო კურსებში, მაგალითად სწავლება და შეფასების სასწავლო კურსში მითითებულია 2010, 2013 და 2016 წლების ლიტერატურა. მას აინტერესებდა, ფიქრობდა თუ არა დაწესებულება ახალი ლიტერატურის შეთავაზებას სტუდენტისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2010 წელს მითითებული ლიტერატურა ეხება „სწავლების ტექნოლოგიებთან“ დაკავშირებულ სახელმძღვანელოს და ამის შენარჩუნების პრინციპი არის შემდეგი, რომ უნივერსიტეტის პროგრამებზე არ არსებობს ადამიანების ჰომოგენური ასაკობრივი ჯგუფი. უნივერსიტეტი უმეტეს შემთხვევაში ხვდება 23 წლიდან 55 წლამდე ასაკის ადამიანებს და ის რესურსები, რომლებიც სტუდენტებთან უნდა იქნეს გამოყენებული, მოსახერხებელი, მისაღები და შინაარსობრივად გასაგებია, რათა წაკითხულის გააზრებაში გაუწიოს დახმარება. 2012 წლის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც განახლებული რედაქციით კარგად კონსპექტირებულია და სტუდენტს დიდ დახმარებას გაუწევს სწავლებისას. სხვა შესაბამისი ლიტერატურა დაწესებულებამ ვერ მოიძია. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსის ერთ-ერთ მოდულში, კერძოდ, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადებაში წერია პირველი - მეექვსე კლასების მაშინ, როცა უკვე სასწავლო გეგმაში კრედიტების მითითების ადგილას ქართულის მოდულთან მითითებულია პირველი-მეოთხე კლასი. მას აინტერესებდა, აღნიშნული იყო თუ არა ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით დაწყებითი კლასებია 1-დან 6-ე კლასამდე. გარდა ამისა, არსებობს 1 - 4 ინტეგრირებული, სადაც სამივე მიმართულებაა მოცემული. მაგალითად, თუ მასწავლებლობის მსურველი ჩააბარებს სასერტიფიკატო გამოცდას პირველი - მეოთხე კლასამდე კომბინირებულს, მაშინ ინსტიტუცია სთავაზობს ამ მოდულს (1 - 4 ინტეგრირებულს). დაწესებულებამ წარმოადგინა ბაზრის კვლევა, რომელშიც მოცემულია ციფრები თუ რომელ მოდულზე რამდენი მსურველი იყო. სტუდენტის მიერ პირველი-მეექვსე მათემატიკა, ან პირველი-მეექვსე ბუნებისმეტყველებაზე ჩაბარების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ამ მოდულებს შესთავაზებს. ციური დურულმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების ასეთი შეთავაზება პროგრამაში არ იკვეთება. გეგმაში მხოლოდ 1 - 4 არის მოცემული, ხოლო მაღალ სტრუქტურაში ეს უკანასკნელი არ არის ნახსენები. კარგი იქნება თუ დაწესებულება ამ სტრუქტურას დახვეწს. ეს ყოველივე დოკუმენტში არ არის მოცემული და დახვეწას საჭიროებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. ციური დურულმა შემდეგი კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებელი ზღუდავდა თუ არა სხვადასხვა საფეხურის მოდულების ჩადებას ამ ერთი პროგრამის ფარგლებში. ექსპერტმა ირმა ქურდაძემ განმარტა, რომ ჩაწერილია საფეხურები როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო საფეხურის ფარგლებში. შესაბამისად, პროგრამა ამ ნაწილშიც შესაბამისობაშია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დიდი ხანია, რაც მასწავლებლის მომზადების პროგრამას ახორციელებს. შესაბამისად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე დიდი ალბათობით იქნება ცალკე მოდული იმისთვის, რომ არ დაიკარგოს ის შედეგები, რაც დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:25
დასრულების დრო: 19:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები), ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები), ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 04 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

„ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპული ინტეგრაციის მაგისტრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ირაკლი გორგილაძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად უსდ-ს განესაზღვრა 2024 წლის 29 სექტემბერი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით დადგინდეს ვადებში წარმოადგინა. მისი თქმით, 5 სტანდარტიდან მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია, ხოლო პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ 5 რეკომენდაციიდან ყველა რეკომენდაცია შეასრულა გარდა მეხუთე რეკომენდაციისა. მეხუთე რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, რომ პერსონალის დატვირთვა მოიცავდეს სწავლებას, კონსულტაციას, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტიდან დადგინდა, რომ ეს რეკომენდაცია მათთვის არარელევანტურია. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შეუსრულებლად ჩაითვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ბაკარაძემ, მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა იმ მიზნით, რომ პერსონალის საქმიანობა უნივერსიტეტში გაწერილია 3 სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში. პერსონალი ავსებს ყოველსემესტრულად განახლებული დატვირთვის სქემას და ეს პროცესი საკმაოდ დიდი ხანია ფუნქციონირებს დაწესებულებაში. უნივერსიტეტს აქვს პერსონალის განვითარების სამსახური, რომელიც პერიოდულად ახდენს ამ პროცესის მონიტორინგს. ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტმა არარელევანტურად მიიჩნია, რადგან ექსპერტებმა ვერ დაინახეს ამ პროცესების არსებობა, რომელიც დოკუმენტურადაც გაზიარებული იყო. ირაკლი გორგილაძემ ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ ეს რეკომენდაცია არარელევანტურია. ექსპერტს აქვს ვალდებულება შეაფასოს მისი შესრულებისა თუ არშესრულების საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად ასეთი შეფასებისა, მათ წარადგინეს ის დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იქნებოდა უნივერსიტეტის მოსაზრების გასამყარებლად. გასულ წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგი, რომელიც წარმატებით დასრულდა. მალე დაიწყება ავტორიზაციის პროცესი. ამის შესაბამისად, დაწესებულებამ ყველა ის მარეგულირებელი აქტი, რომელიც არსებობს, შესაბამისი ცვლილებები შეიტანა. მისი აზრით, საბჭომ შესრულებულად უნდა ცნოს ცნოს აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე ხდებოდა ყოველსემესტრულად რეესტრის შევსება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა ბაკარაძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო და კვლევითი სახის დებულებაა და მისი მეთერთმეტე მუხლით რეგულირდება ეს პროცესი. ასევე არსებობს პერსონალის დატვირთვის ჩარჩო სქემა, რომელიც ყოველსემესტრულად ახლდება და ყოველი სემესტრის განმავლობაში

პერსონალი ავსებს. შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს პერსონალის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები ახდენენ ამ პროცესების მონიტორინგს და დებენ შესაბამის ანგარიშს. ეს ერთგვარად სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილიც არის. კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ამას არეგულირებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ ბრძანებაა, რომლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ამ პროცესების უზრუნველყოფას. შესაბამისად, უნივერსიტეტს მარეგულირებელ დოკუმენტებში განსაზღვრული აქვს დატვირთვა სრულ და ნაწილობრივ განაკვეთზე. ასევე განსაზღვრულია ის საქმიანობა, რომელიც უნდა განახორციელოს აკადემიურმა პერსონალმა. ეს არის სასწავლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს სააუდიტორიო დატვირთვას, ლექციისა და ცოდნის შემოწმების სხვადასხვა კომპონენტის მომზადებას. მეორე ეტაპი არის კვლევითი საქმიანობის შესრულება, რა თქმა უნდა, პერსონალი სურვილისამებრ სხვა აკადემიურ ღონისძიებებში ღებულობს მონაწილეობას. ამის ფორმულირება ერთად ხდება წლის ბოლოს და შესაბამისად ამ პროცესში მთელი საუნივერსიტეტო პერსონალია ჩართული და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც ხერხდება პერსონალის შემოწმება. ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, წარდგენილი ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ყველა ის დოკუმენტი დასადასტურებლად, რაზეც ახლა საუბრობდა. ეკატერინე ბაკარამემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა დოკუმენტები წარადგინა მარეგულირებელ დონეზე. ექსპერტმა ირაკლი გორგილაძემ განმარტა, რომ საბჭომ დატოვა 5 რეკომენდაცია, ერთი წლის შემდეგ მას უნდა წარმოედგინა რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში. ინსტიტუცია განმარტებით ნაწილში შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვა „არარელევანტურობით“ რომ მეხუთე რეკომენდაცია არარელევანტურია. იმის შესახებ ინფორმაცია, რომ ყოფილიყო ექსპერტისთვის ცნობილი, რომელზეც დაწესებულებამ ახლა ისაუბრა, შესაძლებელი იქნებოდა ამ რეკომენდაციის შესრულება არ შესრულების საკითხზე მსჯელობა. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, აღნიშნა, რომ დოკუმენტი წარმოდგენილია დაწესებულების მიერ, სადაც გაწერილია ყველაფერი, მათ შორის მონოგრაფია, ხელმძღვანელობა და ა.შ. უნივერსიტეტმა ამ რეკომენდაციას არარელევანტური იმიტომ უწოდა, რომ მას ეს ისედაც ჰქონდა. ეს საკითხი უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობა არის ის, რომ დაწესებულებას ეს რეკომენდაცია შესრულებული აქვს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:57

დასრულების დრო: 19:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 – 2¹¹ პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლოს" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

„კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები";

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი/შემუშავება და ადმინისტრირება

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია. მისი თქმით, საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა მკაფიო გაზომვადი ზმნის გამოყენებით, მაგალითად, შეფასება „მონაწილეობს“ და „მონაწილეობს კონსტრუქციულად“ გაურკვეველია. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა პროგრამის შედეგებში. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეაფასოს პროგრამის სწავლის შვიდი შედეგი სხვა კურსებზე და არ დაელოდოს მე-8 სემესტრს, სადაც ხდება ნაშრომის შეფასება. უნივერსიტეტმა შეასრულა აღნიშნული რეკომენდაციაც და შეიმუშავა სწავლის შეფასების ახალი გეგმა, რაც შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს გააკონტროლოს მიღწეულია თუ არა კონკრეტული კურსისთვის კონკრეტული სამიზნე ნიშნები. ასევე რეკომენდებულია შეიქმნას „ინფორმაციული ტექნოლოგიების ეთიკის“ კურსი და იგი შეტანილ იქნეს სავალდებულო საგნებში. უნივერსიტეტმა შექმნა აღნიშნული საგანი და შეიტანა სავალდებულო კურსებში. გარდა ამისა, რეკომენდებულია შეიქმნას „სტატისტიკის“ კურსი და დაემატოს სავალდებულო საგნების ბლოკში. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა შვიდი რჩვიდან 3 შეასრულა, ხოლო 4 არა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილამე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ოთხივე რეკომენდაცია შეასრულა. რჩევების ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ იყო მითითება იმაზე, რომ დაწესებულება რჩევებს არ ითვალისწინებდა. დაწესებულებამ ყველა რჩევის შინაარსობრივი დადასტურება მოახდინა და პრაქტიკულად ყველა რჩევა გაითვალისწინა. მან საბჭოს სთხოვა, რომ ეს ფაქტობრივი გარემოება მხედველობაში მიეღო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:06

დასრულების დრო: 20:07

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 – 2¹¹ პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გრაფიკის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

„გრაფიკის ხელოვნების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);

საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0213 სახვითი ხელოვნება;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა თამთა თურმანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2023 წლის ზაფხულში. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია. მათგან პირველი და მეექვსე რეკომენდაცია პრაქტიკულად იდენტური იყო, რომელიც გულისხმობდა ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია გრაფიკის ხელოვნების საკითხისათვის. მისი თქმით, დაწესებულებამ შეასრულა ეს რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელიც უკვე დასრულებულია და გაფორმებულია ხელშეკრულება. შესაბამისად, უნივერსიტეტმა შეიძინა 12 ახალი კომპიუტერი. გარდა ამისა, განახლდა უკვე არსებული კომპიუტერების კომპლექტაცია და მონიტორებით აღიჭურვა ხელოვნების მიმართულების ლაბორატორია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო ღონისძიებებში, რაც ასევე შესრულებულია უნივერსიტეტის მხრიდან. ამ მიმართულების სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონკურსში. ასევე ერთი სტუდენტი 4 თვით იმყოფებოდა „ერასმუსის“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბორდოს უნივერსიტეტში. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების მეტ ჩართულობას თვითანგარიშის მომზადების პროცესში. უნივერსიტეტში არსებობს თვითანგარიშის ყოველწლიური შეფასება. გარდა ამისა, მოეწყო მრგვალი მაგიდა, ჩატარდა ფოკუს ჯგუფი. ამის დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგინა ინსტიტუციამ. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა უშუალოდ პროექტის ორგანიზაციაში ჩართული პერსონალის ხელშეწყობას საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მიმართ. ამ მხრივ საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამონათვალი არის წარმოდგენილი. ეს გულისხმობს როგორც სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მიღებას, ისე შესაბამისი კრებულების გამოცემას, რომელიც ბეჭდური სახითაც არის ილიას უნივერსიტეტის სტამბაში დაბეჭდილი და წარმოდგენილია თავად უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ბიუჯეტს, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო პერსონალის განვითარების პირობითი და მეთოდური თანხა, რომელზეც ინსტიტუციამ დააფიქსირა თავის პოზიცია და აღნიშნა, რომ ეს არ იქნებოდა მიზნობრივი ხარჯი და მსგავსი აქტივობები ისედაც ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიური პერსონალი გარდა ამ კონკრეტული პროგრამისა ჩართულია სხვა პროგრამების განხორციელებაში, ეს არ მიიჩნეის მიზნობრივ ხარჯად. მათ ასევე წარმოადგინეს, რომ არსებობს სერვისცენტრი და სხვადასხვა მხარდაჭერი ღონისძიებები. დაწესებულების ეს ნაწილი დადებითად შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან მზაობა გამოთქვა საბჭოზე გამოთქმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:16

დასრულების დრო: 20:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გრაფიკის ხელოვნების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 – 2¹¹ პუნქტების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გრაფიკის ხელოვნების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 04 თებერვლის 20:18 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

